საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-3/ნ

2018 წლის 19 ივლისი

ქ. თბილისი

უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების, ასევე, პროფესიული რეაბილიტაციის წესის, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29^1 მუხლის მე-3 პუნქტისა და 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს:

1. უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები (დანართი №1).
2. პროფესიული რეაბილიტაციის წესი, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმები (დანართი №2).

მუხლი 2

უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები (პროგრამები), რომლებსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ აკრედიტაცია ამ ბრძანების ამოქმედებამდე, აკრედიტებულად ითვლება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭებიდან ორი წლის განმავლობაში, შესაბამისი კრედიტ-ქულების ჩათვლის გარეშე.

მუხლი 3

პროფესიული რეაბილიტაციის პროგრამები/კურსები, რომლებსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ მინიჭებული ჰქონდათ აკრედიტაცია ამ ბრძანების ამოქმედებამდე, აკრედიტებულად ითვლება პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტაციის მინიჭებიდან ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 4

ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „სახელმწიფო სერტიფიკატის ახალი ვადით გასაგრძელებლად უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ექიმების მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2004 წლის 23 იანვრის №25/ნ ბრძანება.
2. „უწყვეტი პროფესიული განვითარების ცალკეული კომპონენტის მიხედვით სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ახალი ვადით გაგრძელებისათვის საჭირო უწყვეტი პროფესიული განვითარების ქულების რაოდენობისა და სამედიცინო განათლების სხვადასხვა ფორმების შესაბამისი უწყვეტი პროფესიული განვითარების ქულების მინიჭების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 1 ნოემბრის №274/ნ ბრძანება.

მუხლი 5

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**